ადმინისრაციული საჩივარი

1.1 ცნება

ადმინისტრაციული საჩივარი არის უფლების დაცვის ადმინისტრაციულ–სამართლებრივი საშუალება. ის არის ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი მოთხოვნა , რომელსაც აქვს სამი ძირითადი ფუნქცია

- ადმინისტრაციული საჩივარი , როგორც უფლების დაცვის საშუალება
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა
- სასამართლოების განტვირთვა

სზაკ–ის 177–ე მუხლის თანახმად საჩივრის , როგორც უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების მნიშვნელვა ვლინდება იმაში , რომ დაინტერესბულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმ. რგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი. ის არის სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა სასკ–ის მე–2 მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად სასამართლო არ მიიღებს სარჩელს , თუ არ იქნება გამოყენებული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ეს ემსახურება თვითკონტროლის განხორიელებას და სასამართლოების განტვირთვას. ადმინისტრაციული საჩივრის ცნება მოიცავს მის ძირითად მახაიათებლებს

ა) დაინტერესებული მხარე

ბ) წერილობითი მოთხოვნა

გ) დავის საგანი – ადმ. აქტი ან რეალაქტი

დ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1.2 წარმოების სახე და სამართლებრივი საფუძვლები

წარმოების ერთ–ერთი სახეა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ასევე გასათვალისწინებელია სზაკ–ის მე–13 თავით დადგენილი თავისებურებები რომელიც აქცევს მას წარმოების სპეციფიკურ სახედ – წარმოებად ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით.

რაც შეეხება წარმოების სამართლებრივ საფუძვლებს , წარმოება დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში . ადმინისტრაციული საჩივრისთვის

კანონმდებელი განსაზღვრავს რეკვიზიტებს. სზაკ–ის 181–ე მუხლის თანახმად ადმ. საჩივარში უნდა აღინიშნოს

1) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება , სადაც შეიტანება საჩივარი
2) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი
3) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება ვისი ქმედებაც საჩივრდება
4) გასაჩივრებული აქტის დასახელება
5) მოთხოვნა
6) გარემოებანი, რომელითაც ეფუძნება მოთხოვნა
7) დანართი საბუთების ნუსხა

1.3 წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებული მხარეა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი , ადმინისტრაციული ორგანო , რომლის მიმართაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს აქტი. ასევე დაინტერესებული მხარეა ისიც , ვის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ ან უბრალო გავლენას ახდენს აქტი ან ქმედება.

1.4 უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების აუცილებელი წინაპირობაა რომ ის განიხილოს უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. საჩივარი შეიტანება აქტის გამომცემ ადმ. ორგანოში , თუ ის **არ არსებობს** აქტის გამომცემ პირზე ზემდგომი თანამდებობის პირი , თუ ეს უკანასნელიც არ არსებობს საჩივარი შეიტანება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

თუ საჩივარი შეტანილი იქნება არაუფლებამოსილ ადმ. ორგანოში, ეს უკანასკნელი გადაუგზავნის მას უფლებამოსილ ადმ. ორგანოს და ამის შესახებ აცნობებს გამომცხადებელს.

1.5 საჩივრის წარდგენის სამართლებრივი შედეგები

საჩივრის წარდგენა წარმოშობს ადმ. ორგანოს ვალდებულებას დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა იწვევს გასაჩივრებული აქტის შეჩერებას სზაკ–ის 184–ე მუხლი გულისხმობს გასაჩივრებული აქტის მოქმედების ავტომატურ შეჩერებას. აქტი არ შეჩერდება , თუ :

ა) გამოიწვევს გარჯების გაზრდას

ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმ. სამართლებრივ აქტს , რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.

გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს

დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას.

ამ საფუძვლებით აქტის მოქმედების გაგრძელება დამოკიდებულია ადმ. ორგანოს გადაწყვეტილებაზე. მასში უნდა მიეთითოს , რომელი საფუძვლის გამო გაგრძელდა გასაჩივრებული აქტის მოქმედება.

1.6 წარმოების მიმდინარეობა

ეს გულისხმობს კანონიერების გადამოწმებას

1) **საჩივრის დასაშვებობა** – დასაშვებობას განსაზღვრავს შემდეგი კრიტერიუმებით;
   - საჩივრის საგანი უნდა იყოს ადმ.სამ. აქტის კანონიერების შემოწმება , ადმ. სამ აქტის გამოცემა , რეალაქტის გამოცემა ან მისგან თავის შეკავება. დაუშვებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავებისთვის.
   - საჩივრის წარდგენის უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს.
   - ადმ. საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს ადმ. სამ აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

საჩივრის წარდგენის წინაპირობაა აღმუჭრველი ადმ.სამ. აქტის გამოცემა , რომელიც მესამე პირების მიმართ შემზღუდველი ხასიათისაა ან უარი ადმ.სამ აქტის გამოცემაზე ან ქმედების განხორციელებაზე.

2) **საჩივრის დასაბუთებულობა** – მოწმდება ორ ეტაპად . ესენია ფორმალური და მატერიალური

ფორმალური კანონიერება შეიცავს 4 კრიტერიუმს

- უფლებამოსილება : საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილი ორგანო.
- წარმოების სათანადო სახე.
- აქტის ფორმა – 51–ე მუხლის თანახმად ის შეიძლება გამოიცეს წერილობით და ზეპირად.
- დასაბუთებულობა – აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას. ეს ემსახურება თვითკონტროლის განხორციელებას.

დასაბუთება არ არის საჭირო თუ :

1) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირებს
2) დაინტერესებული მხარისთვის ცნობილია სამართლებრივი წინაპირობები , რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს აქტი
3) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემას.

- აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო , სადაც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება.

მატერიალური კანონიერება – ის დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს მასში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგებას, შეესაბამებოდეს აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს.

აღსრულება

2.1 ცნება და არსი

საჯარო მმართველობის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები ,როცა ინდ–აქტი ნებაყოფლობით არ სრულდება და აუცილებელი ხდება სახელმწიფო ძალის გამოყენება. ეს ხდება აღსრულების საშუალებით , აღსრულების ცნებაში მოიაზრება მოქალაქის ან სხვა სამართლის სუბიექტის საჯარო სამართლებრივი ვალდებულებების იძულებითი წესით განხორციელების შესაძლებლობა. აღსრულება, ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელოვანი ეტაპის, წარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ვლინდება.

2.2 აღსრულებაზე უფლებამოსილი რგანო

ინდ.აქტს აღასრულებს მისი გამომცემი ადმ. ორგანო. აქტი შეიძლება აღასრულოს სხვა ადმ.ორგანომა. ამ შემთხვევაში უფლებამოსილების გადაცემა ერთჯერადი ან განსაზღვრული ვადით დელეგირების საფუძველზე უნდა მოხდეს. თუ უფლებამოსილების გადაცემა ხდება განსაზღვრული ვადით , აქტში უნდა მიეთითოს მისი ვადა, ასევე, აქტში უნდა განისაზღვროს თუ რა სახის და უშუალოდ რომელი ინდ.აქტის აღსრულება უნდა გადაეცეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღსრულების უფლებამოსილება აქვს მხოლდ იმ პირს , რომელსაც სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად ან დელეგირების საფუძველზე აქვს აქტის აღსრულების უფლებამოსილება და ვალდებულია დამადასტურებელი საბუთები წარუდგინოს იმ პირს პირებს , რომელთა მიმართაც ხდება აღსრულება.

ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია აღსრულებაზე თხოვნით მიმართოს დახმარებისთვის სხვა ადმ. ორგანოს , თუ :

1. ორგანოს არ შეუძლია აქტის აღსრულება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო
2. არ გააჩნია მოქმედებისთვის ფაქტების საკმარისი ცოდა და ამ ცოდნას ფლობს სხვა ადმინისტრაციული ორგანო

3.დოკუმენტები , რომლებიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად იმყოფება სხვა ადმ. ორგანოში
4.ორგანოს იმაზე მეტი ხარჯების გაწევა უწევს , ვიდრე სხვა ორგანოს

აღსრულებაზე პასუხისმგები ორგანო ვალდებულია უფლებამოსილება გამოიყენოს იმ ზომით , რაც აუცილებელია აღსრულების უზრუნველსაყოფად. უფლებამოსილების გადამეტებად ჩაითვლება თუნდაც კანონით გათვალისწინებული საშუალების გამოყენება , თუ ეს არ წარმოადგენს აუცილებლობას. უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზემდგომი ორგანოს ან დანამდებობის პირის ინდ.აქტით.

2.3 აღსრულების საფუძვლები

აღსრულების საფუძველია გადაწყვეტილება ინდ. აქტის უზრუნველყოფის შესახებ. ის შეიძლება გამოიცეს , როგორც შესასრულებელ ინდ. აქტთან ერთად ისე ცალკე.

ინდ აქტი აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ უნდა გამოიცეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ან უნდა შეიცავდეს:

- ინდ.აქტის სახეს
- გამომცემ ორგანოს
- სათაურს
- თანამდებობის პირის ხელმოწერას
- გამოცემის დროს და ადგილს
- ინდ . აქტს , რომლის აღსრულებაც უნდა მოხდეს
- აღსრულების გამოსაყენებელ საშუალებებს
- სარეგისტრაციო ნომერს
- იმ ორგანოს სადაც შეიძლება ამის გასაჩივრება
- აღსრულების ხარჯებს

აკრძალულია აღსრულების ერთზე მეტი საშუალების განსაზღვრა. ის შეიძლება გამოიცეს წერილობით. ზეპირად შეიძლება გამოიცეს თუ საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ უშიშროებას ან სახელმწიფოს. შემდეგ 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით ის შეიძლება გამოიცეს აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდეც და მის შემდეგაც. თუ შეუძლებელია აღსრულების უზრუნველყოფის ერთი საშუალების გამოყენება , უნდა გამოიცეს აქტი სხვა საშუალების გამოყენების შესახებ. თუ აღსრულება არ არის შესაძლებელი , მხოლდ იმ პირის ნების გამოვლენით , რომლის მიმართაც აქტია გამოცემული , ადმ. ორგანო გამოსცემს აქტს მესამე პირის მიმართაც.

დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს გადაწყვეტილება აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ამის შესახებე ადმ. ორგანო გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

ადმ. ორგანო ვალდებულია პირს მისცეს ვადა აღსრულების დაწყებამდე , რომ ნებაყოფლობით შეასრულოს აქტი. ის ვად აუნდა იყოს გონივრული. ადმ. ორგანო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს , რა ევალება პირს , მას კი უფლება აქვს ეს მისთვის

ხელსაყრელი საშუალებით შეასრულოს. თუ პირი შეასრულებს მითითებულ ვალდებულებას აღსრულების საშუალებები აღარ გამოიყენება.

2.4 აღსრულების საშუალებები

ინდ. აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლის შემდეგ ადმ. ორგანოს აქვს უფლება მიიღო ზომები ინდ. აქტის აღსასრულებლად. ესენია :

1. ინდ. აქტის აღსრულების დავალება სხვა პირისთვის
2. ჯარიმა
3. უშუალო იძულება

ეს საშუალებები გამოიყენება ერთი–მეორის შემდეგ , სიმძიმის ხარისხის მიხედვით.

ადმ. ორგანომ უნდა აირჩიოს მხოლოდ ის საშუალება , რომელიც უზრუნველყოფს აქტის სწრაად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას.

აღსრულების დავალება უნდა მოხდეს ადმ. ორგანოსა და იმ პირის შორის დადებული ადმ. ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც დაევალა აქტის აღსრულება. დაუშვებელია პირის იძულება აღსრულებაზე , გამონაკლისია მ როდესაც დროულად აღუსრულებლობა იწვევს სახელმწიფო ინტერესების დარღვევას , ამ დროს პირს აუნაზღაურდება მიყენებული ზიანი. სხვა პირისთვის დავალება ხდება მაშინ , როცა ადრესატი არ ასრულებს მოთხოვნას. ამას ანაზღაურებს სახელმწიფო , ხოლო ეს უკანასკნელი რეგრესის წესით იღებს. ადრესატისგან

ჯარიმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ , როცა აღსრულება შესაძლებელიამხოლოდ შესაბამისი პირის ნების გამოვლენით. ჯარიმა არ ათავისუფლებს პირს ვალდებულებისგან. ჯარიმა შეიძლება განისაზღვროს საერთო თანხით ყოველი დღის გადაცილებისთვის ან ქმედებისთვის.
საერთო თანხა გამოიყენება მაშინ , როცა დარღვევა ერთჯერადია და მისი გამეორება შეუძლებელია , ასევე მაშინ , როა ადმ. ორგანო თვლის , რომ პირის ერთჯერადად დაჯარიმება საკმარისია იმისთვის , რომ მან შეასრულოს აქტი (1000–5000 ლარი) ყოველ გადაცილებული დღისთვის ჯარიმა შეიძლება დაეკისროს ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლის შემდეგ. ჯარიმის მინიმალური ოდენობა 5 ლარი (ავტობუსი).

უშუალო იძულება – გამოიყენება მხოლოდ მაშინ , როცა წინა ორმა არ გამოიღო შედეგი. კონკრეტული იძულება უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული. პირდაპირ იძულების გამოყენება შეიძლება ფორს–მაჟორულ სიტუაციებში.

2.5 ფულადი მოთხოვნის აღსრულება

ფულადი თანხის გადახდევინებასთან არ გამოიყენება ჩამოთვლილი საშუალებები. ამ დროს აუცილებელია შესაბამისი ადმ. ორგანოს გადაწყვეტილება.

თანხის ნებაყოფლბით გადახდაზე უარის შემთხვევაში , ადმ. ორგანს აქვს უფლება მოთხოვოს პირს მისი ჩაირცხვა ადმ. ორგანოს ანგარიშზე.

თანხის იძულებით ამოღება ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით.

სახელმწიფო პასუხისმგებლობა

3.1 ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

1) **შესავალი**

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება მაშინ , როცა სახეზეა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანი. პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს:

- საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა. საჯარო მოხელე პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე რომელიც მან გამოიწვია.
- სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. სახელმწიფო ვალდებულია თავის თავზე აიღოს მოხელის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა და ზიანის შემთხვევაში აანაზღაუროს ის.
- სოლიდარული პასუხისმგებლობა. სახელმწიფო და მოხელე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საქ. კონსტიტუციის 42–ე მულის მე–9 ნაწილის თანახმად ყველასთვის გარანტირებულია აღნიშნული პრობლემის დროს ზიანის ანაზღაურება. ეს აისახა სზაკ–ის 208–ე მუხლზეც , რომლის თანახმად ამ დრს პასუხისმგებელია სახელმწიფ. ამას ასევე აწესრიკებს სამოქალაქო კოდექსის 1005–ე მუხლი.

2) **ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სახელმწიფოსთვის დაკისრების საფუძვლები**

ა) საზოგადოებაში არსებობს იმის პრეზუმფცია , რომ საჯარო მოხელე უფლებამოსილების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით

ბ) სახელმწიფო გადახდისუნარიანი სუბიექტია მოქალაქე ვერ იქნება დამოკიდებული საჯარო მოხელის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

გ) საჯარო მოხელის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამკვიდრება გამოიწვევდა შიშს საჯარო მოხელეებში , ისინი აღარ გამოიჩენდნენ ინიციატივას და თავს შეიკავებდნენ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისგან, რაც შეაფერხებდა მმართველობის აპარატის ფუნქციონირებას.

სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.

3) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები

სამოქალაქო კოდექსის 1005–ე მუხლი, კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–9 ნაწილი. სზაკ –ის 208–ე მუხლი როცა საქმე ეხებაადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებულ ზიანს უნდა გამოვიყენოთ სზაკ–ის მე–14 თავის ნორმები, როგორც სპეციალური ნორმები.

4) ზიანის ანაზღაურების ვალდებულობის წარმოშბის წინაპირობები

ზიანია ანაზრაურების ვალდებულება წარმოიშვება თუ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ესენია :

- სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში წარმოშვებული ზიანი. – ამ ცნებას უნდა მიეცეს ფუნქციონალური დატვირთვა , რაც გულისხმობს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესს. სზაკ–ით დადგენილი წესის თანახმად , პირი , რომელიც ასრულებს მოვალეობას სახელმწიფოს სახელით , მის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხს აგებს სახელმწიფო , ხოლო თუ პირის საქმიანობა დაკავშირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხს აგებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.
- არღვევს მოვალეობას სხვა პირის მიმართ – ვალდებულების დარღვევა ყოველთვის არ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, აუცილებელია სამსახურეობრივი მოვალეობა დაირღვეს სხვა პირის მიმართ.
- ბრალი –სამოქალაქო კოდექსის 1005–ე მუხლის თანახმად , იმისთვის რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება , აუცილებელია ზიანი მიყენებული იყოს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. უხეში გაუფრთხილებლობა რეგრესის წესით მოთხოვნის საფუძველი უნდა გახდეს , სახელმწიფომ კი ზიანი უნდა აანაზღაუროს ნებისმიერი ბრალის დროს.
- მიზეზობრივი კავშირი – მოქმედებასა და ზიანს შორის აუცილებელია , არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი

3.2 ირიბი ექსპოპრიაცია

სზაკ–ის 209–ე მუხლით წესრიგდება პასუხისმგებლობის ისეთი შემთხვევები , როცა კონკრეტული აქტით ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს. ეს ის შემთხვევაა , როცა აქტი არ არის მიმართული ამ პირთა მიმართ , თუმცა მათი შეზღუდვა ხდება შედეგობრივად და ისინი გამოდიან განსაკუთრებული მსხვეპლის როლში. ეს ის შემთხვევაა როცა უფლების შეზღუდვა სცდება საზოგადოებრივ–სოციალურ ადეკვატურობას , ანუ წარმოქმნის ადრესატის ქონებრივ დანაკლისს ან უსპობს მას სამომავლო გეგმებს.

ირიბი ექსპროპრიაიის ელემენტებია :

- საკუთრების უფლება – ამ ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობს , რომ კანონმდებელს არ შეუძლია ისეთი ნორმების გამოცემა , რომელიც კერძო საკუთრებას , როგორც ინსტიტუტს , ეჭვქვეშ დააყენებდა. ეს ემსახურება მესაკუთრის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვას , კერძოდ , მის პირად უფლებას ქონებაზე.
- კანონიერი მმართველობითი ქმედების გაუთვალისწინებელი გვერდითი მოვლენები – ირიბი ექსპროპრიაციის ინსტიტუტი აწესრიგებს იმს შემთხვევებს, როა ზიანი გამოწვეულია კანონიერი მმართველობითი ღონისძიებით. იმავდროულად მნიშვნელოვანია , რომ ეს იყოს გაუთვალისწინებელი შედეგი.
- ხელყოის უშუალობა – ზიანის ანაძაურების მოთხოვნის წინაპირბაა ის , რომ საკუთრების უფლება იზღუდება ირიბად. თავისებურება კი მდგომარეობს იმაში , რომ ღონისძიება უშუალოდ მიმართულია სხვაზე და იწვევს არაპირდაპირ შედეგს.
- განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლი – ზემოქმედება იმდენად ინტენსიური უნდა იყოს , რომ სცილდებოდეს სოციალურობის , ტოლერანტობისა და ადეკვატურობის ზღვარს და განსაკუთრებულ ქონებრივ მსხვერპლს წარმოშობდეს. ეს გულისხმობს , რომ სუბიექტი სხვებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ექცევა , ამასანავე მნიშვნელოვანია დამდგარი შედეგის სიმძიმე. განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლი არ გვაქვს სახეზე , როცა **აღნიშნული ითვალისწინებს თმენის ვალდებულებას.**

საკუთრების ირიბი ექსპროპრიაცია იწვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მისი მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე. აღნიშნული არ გამორიცხავს ზიანის მთლიანად ანაზღაურებას. მნიშვნელოვანია ის , თუ რა შედეგს გამოიწვევს ეს და როგორია ამ პირის მდგომარეობა სხვებთან შედარებით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

1.1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საკანონმდებლო საფუძველი

ადმინისტრაციული ხელშეკრულების საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. იგი აყალიბებს ადმინისტრაიული

ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას მე–2 მუხლის 1–ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში. მისი მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები ამავე კოდექსის მე–5 თავშია თავმოყრილი.

1.2 ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება

სზაკ–ის მიხედვით ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმ. ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით , ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან , აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო–სამართლებრივი ხელშეკრულება.

ხელშეკრულება , როგორც სამოქალაქო სამართალში ვისწავლეთ , არის ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთბის წარმოშობის , შეცვლის ან შეწყვეტისკენ. ხელშეკრულებისთვის აუცილებელია ორმხრივი ნება , თუ არ არის ეს ნება – არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულებაც.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ–ერთი სავალდებულ მხარეა ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციული ორგანოს ცნება , როგორც ინდ.აქტის ცნების ელემენტი და ადმინისტრაციულის ცნების ელემენტი , თავისი არსით იდენტურია. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციური გაგება (ნებისმიერი პირი , რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს) , რომელსაც აღიარებს სზაკ–ი , აერთიანებს , როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს ორგანიზაციულ–სამართლებრივი გაგებით , ასევე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს , რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემის სუბიექტები , მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო–სამართლებრივ უფლებამოსილებებს და მის ჩარჩოებში დებენ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ვერ იმოქმედებს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიის თავისუფლებით , რადგან მათი საქმიანობა მიმართულია საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად და მოქმედებს მხოლოდ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სხვა სახის ხელშეკრულებისგან მიჯნავს ხელშეკრულების საგანი , კერძოდ საჯარ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით „ . ანუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება იდება მხოლოდ საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად სხვა შემთხვევაში ის სამოქალაქო ხელშეკრულება იქნება.

1.3 ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან.

ადმ. ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს როგორც საჯარო , ისე კერძო სამართლებრივი ფორმები. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან , შეცვლასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს წყვეტენ საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ხელშეკრულების ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართლებრივი ბუნება უნდა განისაზღვროს ობიექტურად. არ არის არსებითი ხელშეკრულებების მხარეების სუბიექტური შეხედულება. ამასთანავე ადმინისტრაციულ ორგანოს უმეტესწილად კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს როგორც კომპეტენცია , ასევე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალება , ასეთ შემთხვევებში ის ნორმატიული აქტი , რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს ქმედების უფლებამოსილებით , გვაძლევს ინფორმაციას მისი საქმიანობის ფორმის სამართლებრივ ბუნებაზე , ხოლო იმ შემთხვევაში , როდესაც ადმ. ორგანოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება , მისი ნება განსაზღვრავს საქმიანობის ფორმის (ხელშეკრულების) სამართლებრივ ბუნებას და როგორც ზემოთ ვთქვით , განსხვავება ხელშეკრულებებს შორის არის ხელშეკრულების მიზანი. მიუხედავად იმისა რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებისას ერთ–ერთი მხარე აუცილებლად უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო , სულაც არ ნიშნავს იმას რომ აუცილებლად ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაიდება , მეტიც , შესაძლოა რომ ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის სამოქალაქო–სამართლებრივი ხელშეკრულება დაიდოს.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე როდესაც :

- ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება
- ის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს
- ის მოქალაქის საჯარო–სამართლებრივ უფლებამოსილებას ან ვალდებულებას ადგენს.

1.4 ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ინდ. აქტი

ადმინისტრაციული ხელშეკრულება ,ისევე როგორც ინდ. აქტი აწესებს ცვლის ან წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. საერთო არის ის რომო ორივე ადმინისტრაციული წარმოების პროდუქტს წარმოადგენს. განსხვავება კი იმასშია, რომ ინდ.აქტის გამოცემისას ადმ.ორგანო ცალმხრივი ნებით მოქმედებს , ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას საჭიროა ორმხრივი ნება. ამ განსხვავებას უკავშირდება ის თავისებურებები , რომლებიც ახასიათებს ამ ორ ინსტიტუს, მათ ამოქმედებასთან , კანონიერებასთან , ცვლილებების შეტანასთან , ბათილობასთან თუ აღსრულებასთან დაკავშირებით.

აუცილებლად უნდა გავავლოთ ზღვარი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასა და იმ ინდ.აქტს შორის , რომლის გამოცემაც დაინტერესებული პირის თანხმობას საჭიროებს. განსხვავება ისაა რომ ინდ. აქტის დროს ცალმხრივი ნება გამოვლენილია და დაინტერესებული მხარის ხელმოწერა არ ისახავს მიზნად მის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რასაც ადგილი აქვს ადმ. ხელშეკრულებაში) , აქ მიზანი არის , ადრესატს ააცილოს მისი სურვილის შეუსაბამო ხასიათის აღმჭურველი ღონისძიება. ადრესატის მხრიდან ნების გამოხატვა ადმ.ხელშეკრულების არსებობის წინაპირობაა , ხოლო ინდ.აქტის შემთხვევაში კი მისი კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმია.

1.5 ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერება

ფორმალური კანონიერება იყოფა სამ ეტაპად :

- ორმხრივი ნება ოფერტი და აქცეპტი
- წერილობითი ფორმა
- მესამე პირის და სხვა ადმინისტრაიული ორგანოს თანხმობა

ორმხრივი ნება ადმინისტრაციული ხელშეკრულება იდება ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად. ხელშეკრულების ერთი მხარის ოფერტი და მეორე მხარის აქცეპტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად , ადმ. ორგანოს მიერ ხელშეკრულების მეორე მხარისთვის გაგზავნილი ხელმუწერელი დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას ანუ ოფერტს ხელშეკრულების დადებაზე , არამედ პირიქით , მეორე მხარის მიერ გამოგზავნილი ხელმოწერილი დოკუმენტი არის ოფერტი , ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ (თანხმობის ნიშნად) უნდა მოაწეროს ხელი და შემდეგ გააცნოს ისევე მეორე მხარეს (აქცეპტის გაცნობა)

ფორმა ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით , თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა გამოიწვევს ადმ. ხელშეკრულების ბათილობას

მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებას ან აკისრებს ვალდებულებას , ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სზაკ–ის 68–ე მუხლის თანახმად , ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა , რომელიც შეიძლება ინდ.აქტით გადაჭრას , მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.

1.6 ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება

ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება გულისხმობს მის შესაბამისობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსებთან და ასევე მოქმედ კანონმდებლობასთან. (მეტი არ წერია წიგნში :D)

1.7 ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობა

სზაკ–ი ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომელთა დაუცველობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილობის საუძველი, გარდა ამისა, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობაზე მოქმედებს ასევე სამოქალაქო კოდექსიც , რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ბათილი თუ :

- ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე ქმედუუნარო პირია ან ის დადებულია ფსიქიკური მოშლილობის დროს ან სულით ავადმყოფის მიერ (58–3 მუხლი)

- ის დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად , იმ განზრახვის გარეშე რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (56–ე მუხლი)
- ნება გამოვლენილია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით , რომ ამ არასერიოზულობას გამოიცნობდნენ (57–ე მუხლი)
- ის დადებულია კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად (წერილობითი ფორმა ან სანოტარო დამოწმების კანონით დადგენილი ვალდებულება)
- ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში , რომლის საფუძველზეც დაიდო ეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება

1.8 ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს საქმიანობის ის ფორმა , რომელიც უფრო ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად. თუ ადმინისტრაციული ორგანო დებს ხელშეკრულებას , ის ვალდებულია ბოლომდე დარჩეს ამ სფეროში და კარგავს უფლებამოსილებას , გამოიყენოს აღსრულების ის საშუალება , რომელიც სზაკ–ით ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისთვის არის გათვალისწინებული. დავის შემთხვევაში ადმ.ორგანო ვალდებულია მიმართოს სასამართლოს დავის გადასაწყვეტად. ასევე მოქალაქეს ერთმევა შესაძლებლობა , საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების თაობაზე დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისა და გადაწყვეტის პროცესს აწესრიგებს სასკ–ი და ამ კოდექსის მე–2 მუხლის 1–ლი ნაწილის საფუძველზე – სამოქალაქო საპროცესო კოდექსები

ინფორმაცია არ მოვა :D